

2022

# 112 წლიური ანგარიში | ANNUAL REPORT

# საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - „112“

წლიური ანგარიში

# 2022

## PUBLIC SAFETY COMMAND CENTER - “112”

ANNUAL REPORT

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ ახორციელებს გადაუდებელი დახმარების ოპერატიული და ეფექტიანი მართვისათვის შესაბამის სატელეფონო მომსახურებას, აგრეთვე 24-საათიან ვიდეომეთვალყურეობას ქვეყნის მასშტაბით დანაშაულის ჩადენის, დანაშაულის მცდელობის ფაქტის, სამართალდარღვევის დაფიქსირების ადმინისტრირებისა და აგრეთვე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით.

ცენტრის საქმიანობის ძირითადი მიმართულებებია:

- გადაუდებელი სიტუაციების მართვა
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება
- დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა და პრევენცია.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ განთავსებულია ორ ლოკაციაზე - თბილისსა და რუსთავში.

LEPL Public Safety Command Center 112 of the Ministry of Internal Affairs provides telephone services for the efficient management of emergencies. Additionally, the entity provides 24/7 uninterrupted video surveillance throughout the country. Video surveillance provides an efficient instrument to administer crime, crime attempts, offenses and strengthens road safety.

The main activities of the center are:

- Management of emergency situations
- Road safety
- Fighting and preventing crime

Public Safety Command Center "112" is located in two locations - Tbilisi and Rustavi.

*წლიურ ანგარიშში დამუშავებულია 2022 წლის 14 დეკემბრის ჩათვლით დაფიქსირებული მონაცემები.*

*The annual report contains data processed as of December 14, 2022.*

# შინაარსი
# CONTENT




01 გიორგი არსოშვილი | GIORGI ARSOSHVILI ............................................1

02 ISO სტანდარტი | ISO STANDARD ............................................2

03 სტატისტიკა 2022 | STATISTICS OF 2022 ............................................3

04 მობილური აპლიკაცია | MOBILE APPLICATION ............................................4

05 მოქალაქეთა კმაყოფილების კვლევა | CITIZEN SATISFACTION RESEARCH ............................................5

06 საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება | ROAD SAFETY ............................................5

07 საერთაშორისო თანამშრომლობა | INTERNATIONAL CO-OPERATION ............................................6-7

08 ყოველწლიური ღონისძიებები | ANNUAL EVENTS ..........8-10

09 112-ის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა | ACTIVITIES OF STRUCTURAL UNITS OF 112 ............................................11-13

10 სამომავლო გეგმები | FUTURE PLANS ............................................14



# 01 გიორგი არსოშვილი | GIORGI ARSOSHVILI

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის დირექტორი

DIRECTOR OF PUBLIC SAFETY COMMAND CENTER “112”

”

2022 წელი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ისათვის დატვირთული და გამოწვევებით აღსავსე წელი იყო. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გამოწვევების მართვის პარალელურად 112-ის გუნდმა, წარმატებით გაართვა თავი წლის სამოქმედო გეგმით განსაზღვრულ აქტივობებს, რომელთა უმთავრეს პრიორიტეტს, კვლავაც გადაუდებელი დახმარების შემთხვევებზე მყისიერი და ეფექტური რეაგირება, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა / პრევენცია და ასევე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების განმტკიცება წარმოადგენდა.

2022 წელი 112-ისათვის მნიშვნელოვანი იყო ასევე, საერთაშორისო მიმართულებითაც. ჩვენი მიზანია, ყოველწლიურად პრაქტიკაში დაინერგოს საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილება, სიახლეები და ინოვაციები, რათა კიდევ უფრო გაუმჯობესდეს გადაუდებელი დახმარების შემთხვევებისას კომუნიკაციის არხები და მართვის ინსტრუმენტები.

საამაყოა, რომ ზემოაღნიშნული, მიმდინარე წელსაც კიდევ ერთხელ დადასტურდა ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციის (EENA) მიერ გამოქვეყნებული სტატიით - „კოვიდპანდემიის პერიოდში საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის განსაკუთრებული როლის შესახებ“, საერთაშორისო ISO სტანდარტების დანერგვით და რა თქმა უნდა, ასევე, მოქალაქეთა კმაყოფილების კვლევის შედეგებით.

112 განვითარებაზე ორიენტირებული ორგანიზაციაა, რომლისთვისაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ინტერესებზე, დანაშაულის აღკვეთასა და პრევენციაზე მორგებული აქტივობების დანერგვა და განვითარება.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია შინაგან საქმეთა სამინისტროს სრული მხარდაჭერა, რისთვისაც მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო სამინისტროს ხელმძღვანელებს. აღნიშნული მხარდაჭერა და მომიჯნავე სამსახურებთან მუდმივი კოორდინაცია 112-ის შემდგომი წარმატების უმნიშვნელოვანესი გარანტია.

გაწეული შრომის, პროფესიონალიზმისა და მხარდაჭერისათვის ასევე მადლობას ვუხდი 112-ის პირად შემადგენლობას. ღრმად ვარ დარწმუნებული, გუნდური და თავდაუზოგავი შრომა, შინაგან საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით, კიდევ ბევრ წარმატებასა და აღიარებას მოუტანს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს.

2022 was an eventful and challenging year for the Public Safety Command Center "112". It is important to mention that along with managing the challenges, the 112 team effectively handled the activities defined by the action plan of the year, the main priorities of which still were the prompt and effective response to emergencies, the fight against/prevention of crime, as well as strengthening road safety.

Moreover, 2022 was important for the 112, in the international field. Our goal is to implement best practices, news and innovations to further improve emergency communication channels and management tools.

We are proud that this year the above mentioned was once again confirmed by the article published by the European Emergency Number Association (EENA) - "On the special role of the Public Safety Command Center "112" during the Covid pandemic", by the introduction of international ISO standards and, of course, also with the results of the survey of citizens' satisfaction.

All of the above mentioned shows that the 112 is an organization focused on development year by year, for which it is especially important citizens' interests, implementation and development of activities tailored to the prevention and suppression of crime. In this regard, the full support of the Ministry of Internal Affairs of Georgia is particularly remarkable, for which I would like to thank the leadership of the Ministry.

The above-mentioned support and continuous coordinated action with the partner services are the most important guarantee for the further success of 112.

I would also like to thank the staff of 112 for their devoted work, professionalism and support. I am deeply convinced that teamwork and devoted work, with the support of the Ministry of Internal Affairs, will bring many more successes and recognition to Public Safety Command Center "112".

# 02 ISO სტანდარტი
## ISO STANDARD

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა „112“-მა, როგორც ხარისხზე ორიენტირებულმა ორგანიზაციამ, წარმატებით დანერგა საერთაშორისო ISO სტანდარტები.

სტანდარტი ISO-9001:2015-ის დანერგვა უზრუნველყოფს ცენტრის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, რაც გამოიხატება მომხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებაში, პროცესების გამჭვირვალობასა და მონიტორინგის კიდევ უფრო ეფექტიანი სისტემის შექმნაში.

ISO-9001 წარმოადგენს ხარისხის მენეჯმენტის მსოფლიოში ყველაზე ფართოდ აღიარებულ სტანდარტს, რომლის მიზანია ორგანიზაციის პროცესების ეფექტიანობისა და ხარისხის უზრუნველყოფა მომხმარებელსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის.

სტანდარტი ISO-21001:2018 წარმოადგენს სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის უახლეს გამოცემას საგანმანათლებლო ორგანიზაციების მართვის სისტემების რეგულაციისათვის. აღნიშნული სტანდარტი ფოკუსირებულია საგანმანათლებლო ორგანიზაციების მართვის სისტემის გაძლიერებაზე, ასევე, მომსახურებისა და წარმოებული პროდუქტის ხარისხის ამაღლებაზე.

ISO-21001:2018-ის საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ში დანერგვა უზრუნველყოფს სასწავლო ცენტრის მიერ ჩატარებული ტრენინგების ხარისხის ამაღლებას, სასწავლო პროცესში ახალი მიდგომების დანერგვასა და კონკურენტუნარიანობას, რაც პოზიტიურ გავლენას იქონიებს მომავალი ოპერატორების რეკრუტირებისა და მომზადება/გადამზადების პროცესზე და აისახება ქოლ-ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების ხარისხზე.

Public Safety Command Center "112" as a quality-oriented organization, successfully introduced international ISO standards.

The introduction of the standard ISO 9001: 2015 ensures the improvement of the quality of work of the center, which is reflected in the improvement of customer service, transparency of processes and the establishment of an even more effective monitoring system.

ISO 9001 is the world's most widely recognized quality management system. It is one of the most well-known standards, which aims to ensure the efficiency and quality of the organization's processes between the customer and other stakeholders.

ISO 21001: 2018 Standard is the latest publication of the International Organization for Standardization for the regulation of management systems of educational organizations. The standard focuses on strengthening the management system of educational organizations, as well as improving the quality of services and products.

Implementation of ISO 21001: 2018 in the Public Safety Command Center "112" will ensure the quality of trainings conducted by the training center, the introduction of new approaches in the training process as well as competitiveness, which will have a positive impact on the recruitment and training / retraining process of future operators and will reflect on the quality of services provided by the call center.

112-მა,
როგორც ხარისხზე ორიენტირებულმა
ორგანიზაციამ, წარმატებით დანერგა
საერთაშორისო ISO სტანდარტები

ISO 9001 | ISO 21001

112
AS A QUALITY-ORIENTED ORGANIZATION,
SUCCESSFULLY INTRODUCED
INTERNATIONAL ISO STANDARDS

ISO 9001 | ISO 21001

# 03 სტატისტიკა 2022

## STATISTICS FOR 2022



**2022 წელს:**

- საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა „112“-მა **4.000.000**-მდე ზარი მიიღო.
- 2021 წელთან შედარებით არამიზნობრივი ზარების რაოდენობა **29%**-ით შემცირდა

**IN 2022:**

- Public Safety Command Center “112” received up to **4,000,000** calls.
- The amount of non-targeted calls decreased by **29% compared to 2021.**







2022 წელს, **ProQa**-თი იმართა **75128** საქმე:

- საპოლიციო - **62708**
- სახანძრო-სამაშველო - **12420**

In 2022 **75128** cases were managed by **ProQa**, including:

- Police cases - **62708**
- Fire/rescue - **12420**



# 04 მობილური აპლიკაცია MOBILE APPLICATION 112 GEORGIA

საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ პირს, შესაძლებლობა აქვს ჩამოტვირთოს და ისარგებლოს 112-ის მობილური აპლიკაციით.

2022 წელს დაიწყო აპლიკაციის განახლება და სპეციალურად, ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის ვიდეოზარის განხორციელების განახლებული სერვისი სატესტო რეჟიმში გაეშვა, რათა აპლიკაციის საშუალებით, უფრო მარტივად იყოს შესაძლებელი 112-თან დაკავშირება და შესაბამისი დახმარების მიღება. ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისგან შემოსულ ვიდეოზარებს, ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორები მართავენ.

112-ის მობილური აპლიკაცია ამჟამად ხელმისაწვდომია როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ და რუსულ ენებზე. განახლების ფარგლებში, აპლიკაცია სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც ითარგმნა და აღნიშნულიც სატესტო რეჟიმში ფუნქციონირებს.

- აპლიკაციის მთავარ უპირატესობას მოქალაქის ადგილმდებარეობის განსაზღვრა წარმოადგენს. (იმ შემთხვევაში, თუ გააქტიურებული აქვს GPS სერვისი);
- აპლიკაცია უფასოა. გააჩნია IOS-ისა და Android-ის პლატფორმების მხარდაჭერა;
- აპლიკაცია გახმოვანებული და ადაპტირებულია მხედველობის არმქონე პირებისთვის;
- აპლიკაცია ჩამოტვირთული აქვს 72 000 ადამიანს.




Any person on the territory of Georgia can download and use the 112 mobile application.

In 2022, the application update process has been launched, in the framework of which video call function was added in test mode, especially for deaf and hard of hearing people, in order to make it easier to contact 112 via application to receive appropriate assistance. Video calls from deaf and hard of hearing people are received by operators with knowledge of sign language.

112 mobile application is currently available in Georgian, English and Russian languages. As part of the update, the application has been translated into Armenian and Azerbaijani languages and it is also functioning in test mode.

- The main advantage of the application is to determine the location of the user. (if the GPS service is activated);
- The application is free of charge and is compatible with Android and IOS platforms;
- The application is voiced and adapted for the visually impaired people;
- The application has been downloaded by 72,000 persons.

# 05 მოქალაქეთა კმაყოფილების კვლევა
## CITIZEN SATISFACTION RESEARCH

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ მუდმივად ზრუნავს მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასა და მოსახლეობისთვის უკეთესი სერვისის შეთავაზებაზე.

ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდსა და 112-ის მობილურ აპლიკაციაში განთავსებული კითხვარის მეშვეობით, ნებისმიერ მსურველს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს გამოკითხვაში და დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება 112-ის მომსახურებასთან დაკავშირებით.

გარდა ამისა, პერიოდულად ტარდება იმ მოქალაქეთა სატელეფონო გამოკითხვა, რომლებმაც ისარგებლეს 112-ის მომსახურებით.

2022 წელს გამოკითხულთა კმაყოფილების მაჩვენებელი 87%-ს შეადგენს.

Public Safety Command Center "112" of the Ministry of Internal Affairs is oriented on constant improvement of its services and suggesting those improved services to the population.

A public survey has been added to the official website of the Public Safety Command Center "112" and the mobile application of 112, where any person can participate and express their opinion about the services of 112.

Furthermore, telephone surveys of citizens who have already used the services of 112 are conducted periodically.

Satisfaction rate of respondents in 2022 is 87%.

# 06 საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება
## ROAD SAFETY

საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა.

2022 წელს საქართველოს მასშტაბით დამონტაჟდა 886 ვიდეოკამერა. მათ შორის - 135 ნომრის ამომცნობი და 751 ზოგადი ხედვის კამერა;

საქართველოს საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე 2022 წელს ამოქმედდა სიჩქარის კონტროლის 38 სექცია, რის საფუძველზეც კონტროლდება 103 კმ. სიგრძის საგზაო მონაკვეთი.

სულ, საქართველოს მასშტაბით, დამონტაჟებულია 6300 ვიდეოკამერა. მათ შორის 1974 ნომრის ამომცნობი და 4326 ზოგადი ხედვის ვიდეოკამერა.

საქართველოს საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გზებზე სულ ამოქმედებულია სიჩქარის კონტროლის 385 სექცია, რის საფუძველზეც კონტროლდება 1515 კმ. სიგრძის საგზაო მონაკვეთი.

Ensuring road safety is one of the priority directions of the Public Safety Command Center "112".

In 2022, 886 video cameras have been installed all over Georgia, including 135 license plate recognition and 751 general vision cameras;

In 2022, 38 speed control sections were implemented on the roads of international and domestic importance of Georgia, on the basis of which 103 km long road section is controlled.

6300 video cameras were installed throughout Georgia, including 1974 license plate recognition and 4326 general vision cameras.

385 speed control sections have been implemented on the roads of international and domestic importance throughout Georgia, on the basis of which 1515 km long road section is being controlled.

# 07 საერთაშორისო თანამშრომლობა
# INTERNATIONAL COOPERATION



Home » Blog » The Work of 112 Georgia and Implemented Activities During the COVID-19 Pandemic

## The Work of 112 Georgia and Implemented Activities During the COVID-19 Pandemic

by Giorgi Arsoshvili
Director - Public Safety Command Centre 112, Georgia

You liked this article? Let us know so we can bring you more on this topic.

1

BACK TO MAIN BLOG PAGE

The Public Safety Command Centre "112" of the Ministry of Internal Affairs of Georgia was actively involved in the process of managing the COVID-19 pandemic from the very beginning; and has been working continuously in emergency mode to provide timely and highly qualified services to every citizen.

September 26, 2022
Categories: Emergency call centre operations, Emergency call centre technology

By standing and fighting together, all difficult challenges can be defeated. The team of 112 overcame those challenges related to the pandemic with tireless teamwork and effort.
Giorgi Arsoshvili, Director of Public Safety Command Centre 112

In Georgia, since the first case of COVID-19 was reported, an important function was added to 112: **every citizen could call 112 to register a case of the virus**. During the pandemic, the centre became the first link between the citizen and the family doctor.

Messages related to the virus are classified by the operators according to the health protocol and are transferred as follows: acute cases – to the emergency medical centre, and non-urgent calls – to family doctors.

In order for family doctors to promptly transfer the information received and processed by 112, Public Safety Command Center installed software in about 100 medical clinics and insurance companies across the country, and **a network connection was set up to programmatically transfer patient information and ensure smooth follow-up by family doctors**.

It should be noted that the training centre of 112 carried out the training of family doctors regarding the software. Furthermore, 112 operators* were trained in the shortest possible time to handle virus-related messages.
**During the pandemic, the number of operators in 112 increased by 115%.*

During the pandemic, in 2020, the number of calls increased by 46% compared to the previous year and reached 7 million calls, compared to 5 million in 2021. Due to the sharp increase in calls, 112 was divided into three communication channels, namely:

• 112 – emergency medical assistance

• 112-1 – Police and fire/rescue services

• 112-2* – COVID-19 **Note: 112-2 is still maintained at this stage.*

Moreover, an electronic portal was created – *https://er.moh.gov.ge/*, where instead of calling 112, a citizen can register a case of the virus online. The information received on the portal is processed by 112 and forwarded to the family doctor for further monitoring. This portal was developed by the Public Safety Command Center "112" of the Ministry of Internal Affairs and the Ministry of Internally Displaced Persons from the occupied territories, Labour, Health and Social Affairs of Georgia.

Due to the increased volume of incoming calls related to the pandemic, it was necessary to launch an **alternative information/non-emergency telephone line**. On the existing infrastructure, 112 organized and put into operation a unified governmental hotline – 144 – on March 30, 2020. The main function of the mentioned hotline was to provide information regarding the restrictions imposed during the pandemic. The implementation of an alternative non-emergency hotline was a significant alleviation for 112 by redirecting non-emergency, but medically necessary, calls.

During the pandemic, the implementation of the activities outlined in the action plan of the Ministry of Internal Affairs of Georgia produced significant results, the clear proof of which is the outcome of the 2021 customer survey, in which 84% of customers are satisfied with the services provided.

*The main priority for us is to offer a more efficient service to citizens and to bring the work of the centre fully in line with the best international standards and practices. That is why, in parallel with the fight against the pandemic and working in an emergency mode, we were able to introduce other important projects as well. In particular, we implemented incident type and case priority determining American software – ProQA – which allows us to automatically determine the priority of an incident and provide citizens with first aid consultations before the brigade arrives. Moreover, we have successfully introduced international ISO standards (ISO 21001:2018; ISO 9001:2015) that will further ensure improvement in the quality of the work of the centre.*
Giorgi Arsoshvili, Director of Public Safety Command Centre 112

112 Georgia will continue to actively implement innovative projects in the future based on the best international practices, which will further contribute to immediate and effective delivery of emergency aid.

*The opinions expressed are those of the author and do not necessarily represent the views of EENA. Articles do not represent an endorsement by EENA of any organisation.*

Share this blog post on:

Facebook Twitter LinkedIn

We use cookies to ensure that we give you the best experience on our website. Continue Refuse Privacy policy

## ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაცია - EENA

საერთაშორისო სტანდარტების, რეკომენდაციებისა და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის მიზნით, საქართველოს 112 აქტიურად თანამშრომლობს ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციასთან (EENA).

2022 წელს, ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციამ (EENA) დადებითად შეაფასა საქართველოს 112-ის მუშაობა, კოვიდპანდემიის პერიოდში.

ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციამ თავის ოფიციალურ ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში, საქართველოს 112-ის მიერ კოვიდპანდემიის პერიოდში განხორციელებული საქმიანობის შესახებ სტატია გამოაქვეყნა (www.eena.org).

აღნიშნულ სტატიაში დადებითად არის შეფასებული ის აქტივობები, რომლებსაც საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“, უწყვეტად, საგანგებო რეჟიმში ახორციელებდა, რათა თითოეულ მოქალაქეს დროული და მაღალკვალიფიციური მომსახურება მიეღო.

ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაცია (EENA) საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც 1999 წელს შეიქმნა ბრიუსელში. ასოციაციის მიზანია, ევროპის მასშტაბით გადაუდებელი დახმარების ერთიანი ნომრის - 112-ის დანერგვა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურების ეფექტური მუშაობისთვის ხელშეწყობა.

2013 წლის 3 სექტემბრიდან საქართველოს 112 EENA-ს წევრია.

## EUROPEAN EMERGENCY NUMBER ASSOCIATION - EENA

In order to implement international standards, recommendations and best practices, 112 of Georgia actively cooperates with the European Emergency Number Association (EENA).

In 2022, the European Emergency Number Association (EENA) positively evaluated the work of 112 Georgia during the Covid pandemic.

The European Emergency Number Association published an article on the activities carried out by 112 Georgia during the Covid pandemic on its official website and social network.

In the mentioned article, the activities that the Public Safety Command Center "112" carried out continuously, in an emergency mode, in order to provide timely and highly qualified services to each citizen, are positively evaluated.

The European Emergency Number Association (EENA) is an international non-governmental organization established in 1999 in Brussels. The aim of the association is to introduce a single emergency number - 112 throughout Europe and to facilitate the effective work of emergency management services.

112 of Georgia is a member of EENA since September 3, 2013.

## დელეგაციები 112-ში

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ მთელი წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციას მასპინძლობს. დელეგაციების ვიზიტები საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებასა და გამოცდილების გაზიარებას ემსახურება.

2022 წელს საქართველოს 112-ს 30-ზე მეტი ქვეყნის დელეგაცია ესტუმრა, მათ შორის იყვნენ გერმანიის, ლატვიის, ესპანეთის, ესტონეთის, ლიეტუვის, ყაზახეთის, სომხეთის, თურქეთის, საფრანგეთის, შვეიცარიის კონფედერაციისა და პოლონეთის დელეგატები, ასევე აშშ-ის საელჩოს წარმომადგენლები.



## DELEGATIONS TO 112

Public Safety Command Center "112" hosts delegations from different countries throughout the year. The visit of the delegations serves to deepen international cooperation and share experience.

In 2022, delegations from more than 30 countries visited 112 Georgia, including delegates from Germany, Latvia, Spain, Estonia, Lithuania, Kazakhstan, Armenia, Turkey, France, the Swiss Confederation, and Poland, as well as representatives of the US Embassy.



## გაეროს მოსახლეობის ფონდსა და 112-ს შორის მემორანდუმი გაფორმდა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-სა და გაეროს მოსახლეობის ფონდს (UNFPA) შორის ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმის გაფორმების მიზანს  გაეროს მოსახლეობის ფონდსა (UNFPA) და 112-ს შორის თანამშრომლობის გაღრმავება წარმოადგენს, კერძოდ, თანამშრომლობის ფარგლებში, 112-ის მობილური აპლიკაციის გამოყენებით იგეგმება სამიზნე აუდიტორიისთვის ინფორმაციის მიწოდება ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების პრევენციის ზომებისა და არსებული სერვისების შესახებ, ასევე, შესაბამისი კამპანიის განხორციელება.

აღნიშნული ინიციატივის რეალიზება მოხდება გაეროს ერთობლივი პროგრამის - „გენდერული თანასწორობის“ ფარგლებში, რომელიც შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარეობს.

*შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ადრეულ ასაკში ქორწინების წინააღმდეგ ბრძოლა. ამ ტიპის დანაშაულის აღმოფხვრა ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ჯანმრთელობის, კეთილდღეობისა და გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას.*

## MEMORANDUM WAS SIGNED BETWEEN 112 AND THE UNITED NATIONS POPULATION FUND (UNFPA)

Public Safety Command Center "112" of the Ministry of Internal Affairs and United Nations Population Fund (UNFPA) signed the Memorandum of Understanding.

The purpose of the Memorandum is to strengthen cooperation between the United Nations Population Fund (UNFPA) and the Public Safety Command Center "112". In particular, within the cooperation, it is planned to provide information to the target audience about the prevention measures and state services for early/child marriage through the "112" mobile application, as well as, to implement information campaign.

The initiative will be carried out within the United Nations Joint Program on Gender Equality, funded by the Swedish Government.

*One of the priorities for the Ministry of Internal Affairs is the fight against child marriage and its elimination will ensure the health, well-being and gender equality for juveniles.*



# 08 ყოველწლიური ღონისძიებები
ANNUAL EVENTS

## 112-ის დღე | 112 DAY

11 თებერვალს საქართველოში, ისევე, როგორც ევროპაში, 112-ის დღე აღინიშნება. ამ დღესთან დაკავშირებით, შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით ყველა ოპერატორი, გაწეული შრომისათვის მადლობის სიგელით დაჯილდოვდა.

On February 11, 112 Day is celebrated in Georgia as well as in Europe. In regard to this day, by order of the Minister of Internal Affairs, all call-takers were awarded with Certificates of Appreciation for their work.




საქართველოს დამოუკიდებლობის დღე
INDEPENDENCE DAY OF GEORGIA

## საქართველოს დამოუკიდებლობის დღე
## INDEPENDENCE DAY OF GEORGIA

შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანიზებით, მცხეთაში, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, საზეიმო ღონისძიება გაიმართა, სადაც სხვადასხვა დანაყოფმა წარმოადგინა საინფორმაციო და საგამოფენო სტენდები.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის სივრცეში, მოზარდებმა თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, სპეციალურად მათთვის შექმნილ კომპიუტერულ თამაშებში მიიღეს მონაწილეობა და შეიტყვეს, თუ როგორ უნდა მოიქცნენ გადაუდებელ შემთხვევებში. გამარჯვებულებს სპეციალური პრიზები გადაეცათ.

ღონისძიებაზე მოსულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, 112-ის „სიცოცხლის ზარის" სტენდთან ცენტრში შემოსული რეალური ზარები მოესმინათ და თანამედროვე ტექნოლოგიებზე აგებულ სერვისებს გაცნობოდნენ.

A solemn event was held in Mtskheta, organized by the Ministry of Internal Affairs, in regard with the Independence Day of Georgia, where various departments of the Ministry of Internal Affairs presented information and exhibition stands.

In the space of the Public Safety Command Center "112", juveniles participated in computer games created especially for them, using modern technologies, from which they learned how to behave in case of emergencies. The winners were awarded special prizes.

The guests who came to the event had the opportunity to hear real calls at "Call of Life" stand. Furthermore, they got acquainted with the services of 112 built using modern technologies.

პოლიციელის დღე
POLICE DAY



## პოლიციელის დღე | POLICE DAY

პოლიციელის დღესთან დაკავშირებით, შსს-ს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112"-ის ოპერატორი თამარ აბუსერიძე „განსაკუთრებული დამსახურებისთვის" შინაგან საქმეთა სამინისტროს მედალიონით დაჯილდოვდა.

თამარ აბუსერიძემ პროფესიონალიზმითა და მყისიერი მოქმედებით 5 ადამიანი სიკვდილს გადაარჩინა. მისმა სწორად ნამართმა ზარმა და სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანმა რეკომენდაციებმა მთელ ოჯახს სიცოცხლე შეუნარჩუნა.

In regard of the Police Day, Tamar Abuseridze, the call-taker of the Public Safety Command Center "112" was awarded a medal of the Ministry of Internal Affairs for "Special Merit".

Tamar Abuseridze saved 5 people from death with her professionalism and prompt action. Her well-administered call and vital recommendations saved the entire family.




**პროექტი „112-ის გმირი“**
**THE PROJECT “HERO OF 112”**

## პროექტი „112-ის გმირი“ | THE PROJECT “ HERO OF 112“

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, 112-მა 4 მოზარდს „112-ის გმირის“ წოდება მიანიჭა. ბავშვებმა ყველაზე მძიმე და გადამწყვეტ წუთებში ადამიანების გადასარჩენად გადაუდებელი დახმარების ნომერზე დროულად დარეკეს.

**ელენე წელაური, 6 წლის** - ელენემ 112-ში დედის დასახმარებლად დარეკა. დედა თავს ცუდად გრძნობდა და გონებას კარგავდა. სახლში გოგონა უმცროს დებთან ერთად იმყოფებოდა. ელენემ სრული სიზუსტით აუხსნა ოპერატორს მისამართი და სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება ითხოვა.

**ვახტანგ გილაური, 10 წლის** - ვახტანგმა 112-ში ბაბუის დასახმარებლად დარეკა. ოპერატორს, პირველ რიგში, მისამართის შესახებ მიაწოდა სრული ინფორმაცია. შემდეგ კი ისიც აღნიშნა, რომ ბაბუას ახალი გაკეთებული ჰქონდა გულის ოპერაცია და თავს ცუდად გრძნობდა.

**მარიამ ურუშაძე, 14 წლის** - მარიამმა 112-ში სრულიად უცნობი ქალბატონის დასახმარებლად დარეკა. მისი გადმოცემით ავტობუსში ქალი წაიქცა. მარიამმა სასწრაფო სამედიცინო დახმარება გამოიძახა და ბრიგადის მისვლამდე ქალბატონი მარტო არ დატოვა.

**ლუკა ბუცხრიკიძე, 13 წლის** - ლუკამ ბებიის დასახმარებლად ქალაქ რუსთავიდან დარეკა. ბებია მაღალი წნევის გამო შეუძლოდ გახდა. აღსანიშნავია, რომ ლუკამ თავად გაუზომა ბებიას წნევა, შემდეგ 112-ში დარეკა, ოპერატორს სრული სიზუსტით აუხსნა მისამართი და სასწრაფო სამედიცინო დახმარების გამოძახება ითხოვა.

*პროექტი „112-ის გმირი“ 2016 წლიდან, ხორციელდება. პროექტის ფარგლებში, ყოველ წელს ჯილდოვდება ყველა ის მოზარდი, რომელმაც მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა გამოიჩინა და კარგად იცის, თუ როგორ უნდა მოიქცეს გადაუდებელ შემთხვევებში.*

In regard of the International Children’s Day, 112 awarded the title of "Hero of 112" to 4 adolescents. The juveniles called the emergency number in time to save other people’s lives in the most difficult and crucial moments.

**ELENE TSELAURI, 6 YEARS OLD** – Elene called 112 to help her mother who was feeling bad and was losing consciousness. Elene was at home with her younger sisters. The girl explained the address to the operator with full accuracy and asked for an ambulance.

**VAKHTANG GILAURI, 10 YEARS OLD** – Vakhtang called 112 to help his grandfather. He first provided the operator with complete information about the address and also noted that his grandfather had just had heart surgery and was feeling unwell.

**MARIAM URUSHADZE, 14 YEARS OLD** – Mariam called 112 to help a completely unknown woman. According to her, a woman fell in the bus and hit her head. Mariam called 112 for an ambulance and did not leave the woman alone until the crew arrived.

**LUKA BUTSKHRIKIDZE, 13 YEARS OLD** – Luka called from Rustavi to help his grandmother who was feeling unwell due to high blood pressure. It is noteworthy that Luke measured his grandmother’s blood pressure himself, then called 112, explained the address to the operator with full accuracy and asked for an emergency aid.

*The project "Hero of 112" has been implemented since 2016. Within the project, every year all the adolescents who have shown high civic responsibility and know well how to behave in emergency situations, are awarded.*

## „ემეგობრე პოლიციას“ | "BEFRIEND THE POLICE"

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-შემეცნებითი კამპანია „ემეგობრე პოლიციას“ მთელი საქართველოს მასშტაბით სხვადასხვა რეგიონის 9 ქალაქში ჩატარდა (ჯამში 12 ღონისძიება).

შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფმა დაინტერესებულ მოქალაქეებს შემეცნებითი და გასართობი აქტივობები შესთავაზა.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა „112“-მა მოზარდებს სპეციალურად მათთვის შექმნილი თამაშები წარუდგინა, საიდანაც მათ მიიღეს ინფორმაცია, თუ როგორ უნდა მოიქცნენ გადაუდებელ შემთხვევებში. გამარჯვებულ ბავშვებს სპეციალური პრიზები გადაეცათ.

გარდა ამისა, ღონისძიებაზე მოსულ სტუმრებს საშუალება ჰქონდათ, 112-ის „სიცოცხლის ზარის“ სტენდთან ცენტრში შემოსული რეალური ზარები მოესმინათ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-შემეცნებითი კამპანიის - „ემეგობრე პოლიციას“ ფარგლებში, საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები მთელი საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა ქალაქის სკოლებში გაიმართა. შეხვედრების მიზანი ბავშვებსა და მოზარდებში საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის შესახებ ცნობიერების ამაღლება იყო.

The information and awareness campaign of the Ministry of Internal Affairs "Befriend the Police" was held in 9 cities of different regions throughout Georgia (12 events in total).

Various departments of the Ministry of Internal Affairs offered educational and entertainment activities to interested citizens.

Public Safety Command Center "112" offered adolescents to participate in games specially created for them, from which they received information on how to act in emergency situations. The winning children were given special prizes by the employees of the center.

In addition, visitors to the event had the opportunity to listen to real calls made to the center at the 112 "Call of Life" stand.

Within the framework of the information and awareness campaign of the Ministry of Internal Affairs - "Befriend the Police", informative meetings were also held in schools of different cities throughout Georgia. The goal of informational and cognitive meetings is to raise awareness among children and adolescents about public safety and order.




„ემეგობრე პოლიციას“
"BEFRIEND THE POLICE"

112-ის ცნობადობის გაზრდა მოზარდებში
INCREASING AWARENESS OF THE 112 AMONG ADOLESCENTS



## მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდა
## INCREASING AWARENESS OF THE EMERGENCY NUMBER AMONG ADOLESCENTS

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ს, პროექტის - „მოზარდებში გადაუდებელი დახმარების ნომრის ცნობადობის გაზრდა“ ფარგლებში, 2022 წელს სხვადასხვა სკოლის 1000-მდე მოსწავლე ესტუმრა.

პროექტის ფარგლებში, „112“-ის წარმომადგენელი მოზარდებს ინფორმაციას აწვდის იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს გადაუდებელი შემთხვევა, რა ნომერზე უნდა დარეკონ ასეთი შემთხვევების დროს და როგორ ითანამშრომლონ ოპერატორთან.

მოსწავლეები ასევე ეცნობიან არამიზნობრივი ზარის განხორციელების საფრთხეებს და იმ სანქციებს, რაც კანონით არის გათვალისწინებული ცრუ ზარის განხორციელების შემთხვევაში.

In 2022, about 1,000 students visited the Public Safety Command Center "112" within the framework of the project "Increasing the awareness of the emergency number among adolescents".

Within the framework of the project, the representative of 112 provides information to teenagers about what an emergency means, what number to call in such cases and how to cooperate with the operator.

Students are also explained the dangers of making non-targeted calls and the sanctions that are provided by law in case of making false calls.

# 09 112-ის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა
# ACTIVITIES OF STRUCTURAL UNITS OF 112

## ოჯახში ძალადობის ელექტრონული მონიტორინგი

ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. მოძალადის კონტროლის საუკეთესო ინსტრუმენტი ელექტრონული მონიტორინგის სისტემაა.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ელექტრონული მონიტორინგის განყოფილებამ, 2022 წელს, „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონისა და სხვა ნორმატიული აქტების შესაბამისად, ელექტრონული ზედამხედველობა დაუწესა 15 პირს, რომელთა კონტროლიც 24 საათიან რეჟიმში ეფექტურად მიმდინარეობდა.

## ELECTRONIC MONITORING OF DOMESTIC VIOLENCE

The fight against domestic violence and crime is one of the main priorities of the Ministry of Internal Affairs, the best control tool of which is the electronic monitoring system.

The electronic monitoring unit of the Public Safety Command Center "112" has imposed electronic surveillance on 15 persons in 2021, whose control was effectively carried out 24 hours a day, in accordance with the law "Prevention of Violence against Women and/or Domestic Violence, Protection and Assistance to Victims of Violence" and other legislative acts.

## სასამართლო განჩინებების აღსრულება

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ მნიშვნელოვან როლს ასრულებს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. „112“-ის ვიდეო-აუდიო ჩანაწერების განყოფილება კომპეტენციის ფარგლებში, შესაბამისი მომართვის საფუძველზე ამუშავებს და უფლებამოსილ პირებზე გასცემს გადაუდებელი დახმარების ერთიან სატელეფონო ნომერზე შემოსული შეტყობინების შესახებ ინფორმაციას და აუდიო ჩანაწერს, გზებსა და შენობის გარე პერიმეტრზე, შსს-ს ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციული შენობების შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოსამეთვალყურეო კამერების და შსს-ს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის  სამხრე ვიდეოკამერების ჩანაწერებს. ამ გზით ცენტრი დახმარებას უწევს ყველა საგამოძიებო უწყებას  მტკიცებულებების მოპოვების პროცესში.

2022 წლის განმავლობაში, საგამოძიებო უწყებებისა და სასამართლოს მიერ, კომპიუტერულ სისტემაში დაცული ინფორმაციის გამოთხოვის მიზნით, 112-ში წარმოდგენილი და აღსრულებული სასამართლო განჩინებების  რაოდენობამ 1605 შეადგინა.

## EXECUTION OF COURT ORDERS

Public Safety Command Center "112" plays an important role in the fight against crime. The video-audio record sub-division of 112, within the scope of its competence and based on the relevant request, processes and provides to the authorized persons the information and audio recording of the message received on the single emergency telephone number, records of  video-surveillance cameras installed on the roads and the external perimeter of the building, the internal and external perimeter of the administrative buildings of the territorial bodies of the Ministry of Internal Affairs and body-worn cameras of the MIA Patrol Police Department. In this way, the center provides assistance to all investigative agencies in the process of obtaining evidence.

During the year of 2022, the number of court rulings presented and executed in 112 for the purpose of requesting the information kept in the computer system by the investigative agencies and the court amounted to 1605.

## საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა

საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნება საქართველოს მიერ ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში აღებულ ვალდებულებათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია.

2013 წლიდან ქვეყანაში დამკვიდრდა პროაქტიული გამჭვირვალობის გარკვეული სტანდარტი. შსს-ს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ ამ მხრივ მოწინავე პოზიციაზეა.

2022 წელს, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შედეგად, 874 მოთხოვნა დამუშავდა 112-ის მიერ. მათგან ნახევარზე მეტი (506) დაკმაყოფილდა. ნაწილს უარი ეთქვა სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, ნაწილი კი შემდგომი რეგირებისათვის გადაიგზავნა შესაბამის დანაყოფებში.

## PROVISION OF PUBLIC INFORMATION

Proactive publication of public information is one of the most important commitments undertaken by Georgia within the Open Government Partnership (OGP).

Since 2013, a certain standard of proactive transparency has been established in the country. Public Safety Command Center "112" of the Ministry of Internal Affairs is in an advanced position in this regard.

In 2022, as a result of public information requests, 874 requests were processed by the Public Safety Command Center "112" of the Ministry of Internal Affairs. More than half of them (506) were satisfied. Part of them were rejected due to the lack of legal basis, and part was sent to the relevant departments for further processing.

## ადამიანური რესურსების მართვა და განვითარება

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის თანამშრომელთა პროფესიული განვითარება ადამიანური რესურსების მართვისა და განვითარების სამმართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა. შესაბამისად, 112 მიზნად ისახავს თანამშრომელთა ინტერესების გათვალისწინებით შესაბამისი კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების დანერგვასა და განხორციელებას.

გარდა კვალიფიციური კადრების მომზადების/გადამზადებისა, მნიშვნელოვანია თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლება, რაც თავის მხრივ, ორგანიზაციის სტაბილურ განვითარებას, მომსახურების ხარისხის გაზრდასა და საზოგადოებისთვის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სერვისის მიწოდებას უზრუნველყოფს. ამ მიზნით, სამმართველომ ორჯერ ჩაატარა თანამშრომელთა საჭიროებებისა და კმაყოფილების კვლევა.

## HUMAN RESOURCES MANAGEMENT AND DEVELOPMENT

The professional development of the employees of the Public Safety Command Center "112" of the Ministry of Internal Affairs is one of the important directions of the Human Resources Management and Development Division. Accordingly, 112 aims to introduce and implement relevant training courses, taking into account the interests of the employees.

In addition to the training/retraining of qualified personnel, it is important to raise the motivation of employees, which in turn ensures the stable development of the organization, increasing the quality of services and providing services to the public in accordance with modern standards. To this end, the Division has conducted employee needs and satisfaction surveys twice.

## სასწავლო ცენტრი

2022 წელს სასწავლო ცენტრის მნიშვნელოვანი სიახლე - დისტანციური ცენტრის ოპერატორის მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებაა. აღნიშნული უფლება ცენტრმა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისგან მიიღო.

საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის სასწავლო ცენტრს, დისტანციური ცენტრის ოპერატორის მომზადების პროგრამის ფარგლებში, შესაძლებლობა აქვს, ქოლცენტრის ოპერატორების გადამზადების სერვისი შესთავაზოს ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს, როგორც სახელმწიფო, ასევე, კერძო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

**2022 წელს, 112-ის სასწავლო ცენტრის მიერ გადამზადდა 2000-ზე მეტი პირი, როგორც 112-ის თანამშრომლები, ასევე მომიჯნავე სამსახურების წარმომადგენლები.**

## TRAINING CENTER

A significant innovation of the training center in 2022 is obtaining the right to implement the remote center operator training program. The mentioned right was granted by the National Center for Educational Quality Development of the Ministry of Education and Science of Georgia.

The Training Center of the Public Safety Command Center "112", within the framework of the remote center operator training program, has the opportunity to offer call center operator training services to any interested parties, both state and private organizations.

**In 2022, the training center of 112 trained more than 2000 people, both employees of 112 and representatives of partner entities.**

## კერძო დაცვითი საქმიანობის შემოწმება

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის ლიცენზირებული დაწესებულებების შემოწმების სამმართველოს კერძო დაცვითი საქმიანობის შემოწმების განყოფილება ახორციელებს კერძო დაცვითი საქმიანობის კონტროლს. ამოწმებს დაცვითი ორგანიზაციის, მისი საქმიანობისა და მცველის შესაბამისობას კანონის მოთხოვნებთან და შესაბამისად აკისრებს პასუხისმგებლობას მათი დარღვევისათვის ორგანიზაციას, ფიზიკურ ან/და იურიდიულ პირს.

2022 წელს, შემოწმების ჯგუფის მიერ თბილისში და რეგიონებში შემოწმებულ იქნა 737 დაცვის ობიექტი და ამავე პერიოდში შემოწმების ჯგუფის მიერ შედგენილია 119 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.

## PRIVATE SECURITY SERVICES

Private Security Service Inspection Sub-division of Licensed Establishments Inspection Division of Public Safety Command Center "112" carries out the control of private security services, in compliance with the rules established by the Minister of Internal Affairs of Georgia. In order to control security services, the controlling body verifies the compliance of the security company, its activities, and the activities of security guards with the requirements of the law and accordingly imposes responsibility for any violation on the organization, individual, and/or legal entity.

In 2022, the inspection team inspected 737 security facilities in Tbilisi and the regions, and in the same period, the inspection team compiled 119 administrative offense acts.

## ლიცენზირებული დაწესებულებების შემოწმება

შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“ ახორციელებს ლიცენზირებული დაწესებულებების ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას და ვიდეომეთვალყურეობის დამონტაჟების აქტის გაცემას. მიმდინარე წელს, მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებული ლიცენზირებული დაწესებულების 447 ობიექტის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის შემოწმება განხორციელდა.

შემოწმებული 447 ობიექტიდან, 313 ობიექტის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა აკმაყოფილებდა კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, განყოფილების მიერ, ყოველ აღნიშნულ ობიექტზე ვიდეომეთვალყურეობის დამონტაჟების აქტი გაიცა, ხოლო 134 ობიექტის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა, კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან/პარამეტრებთან შეუსაბამობის გამო დახარვეზდა.

2022 წელს, ლიცენზირებული დაწესებულებების შემოწმების განყოფილებამ, გარდა გეგმიური შემოწმებისა, უკვე მოქმედი ობიექტების მიერ, სანებართვო პირობების დაცვის მონიტორინგის მიზნით, შესაბამისი ობიექტის მაკონტროლებელ ორგანოსთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, 131 ობიექტის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის არაგეგმიური შემოწმება უზრუნველყო.

განყოფილებამ, 2022 წელს, გეგმიური და არაგეგმიური წესით, 578 ობიექტის ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის შემოწმება და აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებული ყველა საჭირო პროცედურა განახორციელა.

## INSPECTION OF LICENSED ESTABLISHMENTS

Public Safety Command Center "112" of the Ministry of Internal Affairs carries out the determination of the compliance of the video surveillance system of the licensed institutions with the requirements stipulated by the current legislation and the issuance of the video surveillance installation act. This year, the inspection of the video surveillance system of 447 facilities of the licensed institutions throughout the country was carried out.

Out of the 447 objects inspected, the video surveillance system of 313 objects met the requirements stipulated by the law, therefore, the department issued a video surveillance installation act for each mentioned object, while the video surveillance system of 134 objects was deficient due to non-compliance with the requirements/parameters defined by the law.

In 2022, the licensed establishments inspection division, in addition to scheduled inspections, provided unscheduled inspections of the video surveillance systems of 131 facilities in order to monitor compliance with permit conditions by facilities already operating, based on a mutual agreement with the controlling body of the relevant facility.

In 2022, the division inspected the video surveillance system of 578 objects in a scheduled and unscheduled manner and carried out all the necessary procedures related to the said process.

## ინფორმაციული ტექნოლოგიები

საზოგადოებრივი უსაფრთხეობის მართვის ცენტრ „112“-ში ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებისა და ტექნიკური დახმარების სამმართველოს მთავარი ფუნქცია ქოლ-ცენტრის გამართულად მუშაობის უზრუნველყოფა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების გამართული ფუნქციონირებაა.

2022 წლის განმავლობაში ამ მიმართულებით განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- დაინერგა და ამოქმედების პროცესშია 112-ის პროგრამული უზრუნველყოფა (ERC Phone აპლიკაცია).
- 15 სხვადასხვა მუნიციპალიტეტის მასშტაბით განხორციელდა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების დაგეგმვა და შესრულება.
- კრიმინალური პოლიციისთვის დაინერგა საქმეების გაგზავნის პროგრამა (ERC Client).

## INFORMATION TECHNOLOGIES

The main function of the Information Technology Development and Technical Support Division of the Public Safety Command Center "112" is to ensure the proper operation of the call center and the appropriate functioning of the video surveillance systems.

During 2022, the following activities were carried out in this direction:

- 112 software (ERC Phone application) has been introduced and is in the process of implementation.
- Planning and execution of video-surveillance systems was implemented in 15 different municipalities.
- A case referral program (ERC Client) was introduced for the criminal police.

## ევაკუატორით გადაადგილების სერვისი

2022 წელს, ევაკუატორით მომსახურების სერვისცენტრის საჯარიმო ავტოსადგომებზე გადმოყვანილ იქნა 7131 ავტომანქანა, მომსახურება გაეწია 3198 შემთხვევაში იურიდიულ პირებს, ხოლო 253 შემთხვევაში - კერძო ფიზიკურ პირებს.

2022 წელს საჯარიმო ავტოსადგომიდან გაყვანილ იქნა 6957 ავტომანქანა, მათ შორის 85 ერთეული აუქციონის წესით გაიყიდა.

## BREAKDOWN SERVICE

In 2022, 7131 vehicles were transported to the impound lots of the service center with an evacuator, services were provided in 3198 cases to legal entities, and in 253 cases to private individuals.

In 2022, 6957 cars were removed from the impound lot, among from which 85 units were sold by auction.

# 10 სამომავლო გეგმები
## FUTURE PLANS

1\. ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების განვითარება - დაგეგმილია ქვეყნის მასშტაბით, პრიორიტეტულ ლოკაციებსა და ე.წ. შავ წერტილებზე ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების მონტაჟი, არანაკლებ 300 ვიდეოკამერის დამონტაჟება. აღნიშნული ხელს შეუწყობს დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლასა და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების განმტკიცებას.

1\. DEVELOPMENT OF VIDEO SURVEILLANCE SYSTEMS - Throughout the country, Installation of video surveillance systems in priority locations and the so-called on black spots - installation of at least 300 video cameras. This will contribute to the fight against crime and strengthening of road safety.

2\. საშუალო სიჩქარის კონტროლის სექციების მოწყობა - ვიდეოსამეთვალყურეო სისტემების მონტაჟის საფუძველზე, საშუალო სიჩქარის კონტროლისა და საგზაო მოძრაობის ადმინისტრირების მიზნით, განსაზღვრულია საქართველოს საერთაშორისო და შიდა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე არანაკლებ 200 კმ. სიგრძის საავტომობილო გზის მონაკვეთზე საშუალო სიჩქარის კონტროლის სექციების ამოქმედება.

2\. ARRANGEMENT SECTIONAL SPEED CONTROL SYSTEM - Based on the installation of video surveillance systems, for the purpose of average speed control and traffic administration, implementation of average speed control sections on the length of at least 200 km of the highway section on the national and international highways of Georgia.

3\. კერძო დაცვითი საქმიანობა - მცველების გადამზადების პროგრამის შემუშავება და დანერგვა საქართველოში. პროგრამის აღიარება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, რათა მცველებისთვის შესაძლებელი იყოს სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატების გადაცემა.

3\. PRIVATE SECURITY SERVICE - Development and implementation of a security guard training program in Georgia. Recognition of the program by National Center for Educational Quality Enhancement in order the guards to be able to receive state-recognized certificates.

4\. ევაკუატორით გადაადგილების სერვისცენტრების ინფრასტრუქტურული განახლება - 112-ის ორივე საჯარიმო სადგომზე მოეწყობა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, სადაც მოქალაქეებს შესაძლებლობა მიეცემათ, ისარგებლონ ერთი ფანჯრის პრინციპის სერვისით.

4\. INFRASTRUCTURAL RENEWAL OF BREAKDOWN SERVICE - Both impound lots of 112 will be equipped with modern infrastructure, where citizens will have the opportunity to use the service according to single window approach.



# საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი - „112"

წლიური ანგარიში

# 2022

## PUBLIC SAFETY COMMAND CENTER - "112"

ANNUAL REPORT









112.ge
Fb.com/112.ge